



## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური  
ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2016 წელი

ქ. ბათუმი

## შინაარსი

1. ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება.....	4
აგრეგატულ დონეზე.....	4
3. შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა.....	5
ფაქტობრივი შესრულება .....	5
4. საგადასახადო შემოსავლები.....	6
5. გრანტები .....	7
6. სხვა შემოსავლები.....	8
7. დივიდენდი .....	9
8. არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად .....	10
მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების .....	10
შესრულების მდგომარეობა .....	10
9. ვალდებულებების ზრდის შედეგად მისაღები შემოსულობების.....	11
მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა.....	11
10. გადასახდელები.....	12
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან.....	12
11. ხარჯები.....	13
12. არაფინანსური აქტივების ზრდა.....	14
13. ფინანსური აქტივების ზრდა.....	14
14. ვალდებულების კლება.....	15
15. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია .....	15
16. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია ..	17
ფაქტობრივი შესრულება .....	17
17. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები .....	18
18. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაგეგმვისას არსებული ხარვეზები .....	19
□ მრომის ანაზღაურება .....	20
• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი.....	22
დასკვნა .....	25

## 1. ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

### მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 137-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

### მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ; ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

### რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

### ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

## 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება აგრეგატულ დონეზე


2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონის მიხედვით, შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, შესაბამისად 154325,0 ათასი ლარის და 175325,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების მოცულობა 15967,9 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელების მოცულობა 8314,0 ათასი ლარით გაიზარდა. 2015 წლის საბალანსო მონაცემებით შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 199370,6 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 117,1%-ია, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 170031,4 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც წლიური გეგმის 92,6 %-ია.

		წლიური შესრულება	წლიური გეგმა	წლიური გეგმა (ცვლილება)	წლიური გეგმა (%)	წლიური გეგმა (ცვლილება, %)
შემოსულობები	2014	162463,1	167270,9	-	97,1%	-
	2015	199370,6	154325,0	170292,9	129,2%	117,1%
გადასახდელები	2014	156129,4	167270,9	-	93,3%	-
	2015	170031,4	175325,0	183639,0	97,0%	92,6%

ცხრილი 1. 2015 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში (ათასი ლარი).

შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების წილი ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებაში 2014-2015 წლებისათვის წარმოდგენილია N1 და N2 დიაგრამაზე.


### შემოსულობების შესრულება (%-ად წლიურ გეგმასთან)



დიაგრამა 1. შემოსულობების კომპონენტების შესრულება (%).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით 2015 წელს, გეგმის არარსებობის პირობებში, მიღებულია 232,4 ათასი ლარი.

### გადასახდელების შესრულება (%-ად წლიურ გეგმასთან)



დიაგრამა 2. გადასახდელების კომპონენტების შესრულება (%).

### 3. შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

#### ფაქტობრივი შესრულება


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს მიღებული შემოსავლები - 182819,6 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 114,5%-ს შეადგენს და 3,0 პროცენტული პუნქტით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

შემოსავლების კომპონენტები	2015 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა (ცვლილება)	ფაქტობრივი შესრულება	შესრულება (%)	შესრულება (ცვლილება, %)
საგადასახადო შემოსავლები	140000,0	147000,0	167384,7	119,6	113,9
გრანტები	0	5819,4	5788,6	0	99,5
სხვა შემოსავლები	4325,0	6899,5	9646,3	223,0	139,8
<b>სულ:</b>	<b>144325,0</b>	<b>159718,9</b>	<b>182819,2</b>	<b>126,7</b>	<b>114,5</b>

ცხრილი 2. 2015 წლის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი).

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 91,6%-ს შეადგენს. შემოსავლების სტრუქტურის განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე.

2015 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზირებული შემოსავლების სტრუქტურა



დიაგრამა 3. შემოსავლების კომპონენტების განაწილება (%).

შემოსავლის სახით მობილიზებული ჯამური სახსრები, გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებელს, შესაბამისად 10,4%-ით (2013 წელთან მიმართებაში- 17285,3 ათასი ლარი) და 16,7%-ით (2014 წელთან მიმართებაში - 26114,6 ათასი ლარი) აღემატება.

შემოსავლები კომპონენტები	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.
საგადასახადო შემოსავლები	133750,9	143763,4	167384,7	7,5	16,4
გრანტები	21146,8	2095,3	5788,6	-90,1	176,3
სხვა შემოსავლები	10636,7	10846,3	9646,3	2,0	-11,1
<b>სულ:</b>	<b>165534,3</b>	<b>156705,0</b>	<b>182819,2</b>	<b>-5,3</b>	<b>16,7</b>

ცხრილი 3. 2013-2015 წლებში შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

#### 4. საგადასახადო შემოსავლები

2015 წლის განმავლობაში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საგადასახადო შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 7000,0 ათასი ლარით გაიზარდა და 147000,0 ათასი ლარის დონეზე დაფიქსირდა. საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადი) მოცულობამ 2015 წელს 167384,78 ათასი ლარი, ანუ 2015 წლის გეგმის 113,9% შეადგინა და 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 2,5 პროცენტული პუნქტით, 23621,3 ათასი ლარით გადააჭარბა.

საშემოსავლო გადასახადის უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

(ათას ლარებში)	2012	2013	2014	2015	ზრდის ტემპი 2012-2013 წწ.	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.
საშემოსავლო გადასახადი	124570,3	133750,9	143763,4	167384,7	7,4%	7,5%	16,4

ცხრილი 4. 2012-2015 წლებში საგადასახადო შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

## 5. გრანტები

2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში გრანტების სახით შემოსავლების მიღება არ იყო გათვალისწინებული. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გრანტების სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 5819,4 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების გეგმური მაჩვენებელი 4486,4 ათასი ლარით, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების გეგმური მაჩვენებელი 1333,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

2015 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში გრანტების მუხლით მიღებულია 5788,6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის გეგმის 99,5 პროცენტია და 3693,3 ათასი ლარით მეტია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

გრანტების მუხლით მიღებული შემოსავლების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

გრანტები	2012	2013	2014	2015	ზრდის ტემპი 2012-2013 წწ.	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან მიღებული გრანტები	320,3	0	0	0	0	0	0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	200,0	0	0	0	0	0	0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	3299,9	12000,0	0	4486,4	263,7%	0	0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0	8905,3	2095,3	1302,2	0	-76,5%	-37,9%
სხვა სპეციალური ტრანსფერი	241,0	241,4	0	0	0,2%	0	0
<b>ჯამი</b>	<b>4061,2</b>	<b>21146,7</b>	<b>2095,3</b>	<b>5788,6</b>	<b>420,7%</b>	<b>-90,1%</b>	<b>176,3%</b>

ცხრილი 5. 2012-2015 წლებში გრანტების სახით მიღებული შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

## 6. სხვა შემოსავლები

2015 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 4325,0 ათასი ლარით განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სხვა შემოსავლების საბიუჯეტო გეგმა 2574,5 ათასი ლარით გაიზარდა და 6899,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 22%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე (8963,7 ათასი ლარი). 2015 წელს სხვა შემოსავლების მუხლით მოხილნიერებული სახსრების ოდენობამ 9646,3 ათასი ლარი, გეგმის 139,8% შეადგინა. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავალი - 1143%-ით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით მიწის იჯარით ან მართვაში გადაცემით მიღებული შემოსავალი - 52,5%-ით. სხვა შემოსავლების სახით მიღებული შემოსავლების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში


სხვა შემოსავლების კომპონენტები	2015 წლის ბეგმა	2014 წელი ფაქტი	2015 წელი ფაქტი	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ. ფაქტიური	შესრულება გეგმურ მაჩვენებელთან
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	5094,6	8637,8	6292,1	-27,2%	123,5%
შემოსავალი მიწის იჯარით და მართვაში გადაცემიდან	425,0	204,5	223,2	9,1%	52,5
სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავალი	69,4	1069,0	793,2	-25,8%	1143,0%
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	342,1	553,2	584,1	5,6%	170,7%
<b>სანქციები (ჯარიმები და საურაგები)</b>	231,0	117,9	347,6	194,8%	150,5%
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული</b>	1231,8	1537,4	2422,5	57,6%	196,7%
<b>სულ:</b>	<b>6899,5</b>	<b>10846,3</b>	<b>9646,3</b>	<b>-11,1%</b>	<b>139,8%</b>

ცხრილი 6. 2014-2015 წლებში სხვა შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).



2015 წელს მობილიზებული სხვა შემოსავლების შემადგენელი კომპონენტების წილობრივი გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე.

### სხვა შემოსავლების სტრუქტურა




დიაგრამა 4. სხვა შემოსავლების კომპონენტების განაწილება (%).

## 7. დივიდენდი

ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა, 2015 წლის ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) 1200,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა და 200,0 ათასი ლარით გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2015 წელს დივიდენდების სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 1317,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 109,8 პროცენტია და 5,3 ათასი ლარით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 63 საწარმოდან, 2015 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 10 საწარმოს, საიდანაც 3 საწარმოს<sup>1</sup> მიერ გადახდილი დივიდენდების საერთო წილი 79 პროცენტს შეადგენს.

<sup>1</sup> შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“ - 224,8 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ - 203,3 ათასი ლარი, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 617,5 ათასი ლარი.

**საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები 2012-2015  
წლებში (ათასი ლარი)**



დიაგრამა 5. მიღებული დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი).

სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტების საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი, ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

**8. არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად  
მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების  
შესრულების მდგომარეობა**

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 16318,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 154,3 პროცენტია და 10560,4 ათასი ლარით მეტია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2015 წელს ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 3522,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 205,5 პროცენტია და 1790,4 ათასი ლარით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. არაწარმოებული აქტივების (მიწა) პრივატიზებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 148,9 პროცენტით, ანუ გეგმა შესრულებულია 3914,6 ათასი ლარის გადაჭარბებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებში, მატერიალური მარაგების რეალიზაციის სახით ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით, პროგრამით მოსარგებლე პირთა მიერ გადახდილი 882,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსულობების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

არაფინანსური აქტივების კლება	2012	2013	2014	2015	ზრდის ტემპი 2012-2013 წწ.	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.
ძირითადი აქტივები	2029,0	1066,2	1731,5	3522,0	-47,5%	62,4%	103,4%
მატერიალური მარაგები	0	0	891,6	882,0	0	0	-1,1
არამწარმოებლური აქტივები	7362,0	1907,6	3134,9	11914,6	-74,1%	64,3%	280,1%
<b>ჯამი</b>	<b>9391,0</b>	<b>2973,8</b>	<b>4758,2</b>	<b>16318,6</b>	<b>-68,3%</b>	<b>60,0%</b>	<b>243,0%</b>

ცხრილი 7. 2012-2015 წლებში არაფინანსური აქტივების კლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით, 2015 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, საბიუჯეტო გეგმის არარსებობის პირობებში, ჩარიცხულია 232,4 ათასი ლარი. აღნიშნული შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრისა“ და შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის გასხვისებით მიღებული შემოსულობაა. ფინანსური აქტივების კლების მუხლით საბიუჯეტო გეგმის არარსებობის პირობებში შემოსულობების მიღება, ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

### 9. ვალდებულებების ზრდის შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს ვალდებულებების ზრდას ადგილი არ ჰქონია.

#### რეკომენდაციები:

- ბიუჯეტის ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების გამოყენების შესახებ;
- საბიუჯეტო პარამეტრების რეალისტურად დაგეგმვის მიზნით, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტიურად მიღებულ თანხებსა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე.


## 10. გადასახდელები

2015 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 175325,0 ათასი ლარიდან, 183639,0 ათას ლარამდე გაიზარდა (8314,0 ათასი ლარით მეტი). 2015 წელს გადასახდელების საკასო ხარჯმა 170031,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 92,6 %-ია და 13902,0 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დასახელება	2015 წლის გეგმა	ათასი ლარი	
		2015 წლის შესრულება	შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან
ხარჯები	141879,4	132391,4	93,3%
შრომის ანაზღაურება	35468,7	35134,5	99,1%
საქონელი და მომსახურება	24108,6	22198,8	92,1%
პროცენტები	439,2	367,6	83,7%
სუბსიდიები	2565,6	2538,5	98,9%
გრანტები	34052,2	29156,2	85,6%
სოციალური უზრუნველყოფა	6750,8	6739,8	99,8%
სხვა ხარჯები	38494,4	36255,9	94,2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	36867,8	33269,7	90,2%
ფინანსური აქტივების ზრდა	2222,9	2222,9	100,0%
ვალდებულების კლება	2668,9	2147,4	80,5%
ჯამი	183639,0	170031,4	92,6%

ცხრილი 8. 2015 წლის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი).

გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების წილი, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებაში, 2014-2015 წლებისათვის წარმოდგენილია დიაგრამაზე.




დიაგრამა 6. 2014-2015 წლის გადასახდელების შესრულება %.

## 11. ხარჯები

გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 77.3%, 132391.4 ათასი ლარი ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 93.3%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში სხვა გადასახდელების სახით გადახდილი იქნა 37643,0 ათასი ლარი.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, პროგნოზთან (141879,4 ათასი ლარი) შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 9488,0 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი დაუფინანსებელია 334,1 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 3,5 პროცენტი; საქონელისა და მომსახურების მუხლი - 1909,7 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 20,1 პროცენტი; პროცენტები -71,6 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0.8 პროცენტი; სუბსიდიები - 27,1 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0.3 პროცენტი; გრანტები - 4896,0 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 51,6 პროცენტი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 11,0 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 0,1 პროცენტი და სხვა ხარჯების მუხლი - 2238,5 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 23,6 პროცენტი.

2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



დიაგრამა 7. 2014 წლის ხარჯების გეგმის კომპონენტების განაწილება %

2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



დიაგრამა 8. 2015 წლის ხარჯების კომპონენტების განაწილება %.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით როგორცაა: საქონელი და მომსახურების მუხლი - 2755,6 ათასი ლარით, პროცენტის მუხლი - 158,3 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლი - 135,8 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 253,4 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 15601,8 ათასი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია შრომის ანაზღაურების მუხლით - 654,8 ათასი ლარით და გრანტები - 16131,5 ათასი ლარით.

## 12. არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, 2015 წელს გახარჯულია 33269,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 90,2 პროცენტია. 2015 წელს ამ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 7691,8 ათასი ლარით მეტია, 2014 წლის საკასო ხარჯზე.

## 13. ფინანსური აქტივების ზრდა

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, 2015 წელს გახარჯულია 2222,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100 პროცენტია და სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის მიზნით, შპს „კრისტალის“ 100 პროცენტიანი წილის შესყიდვამ განაპირობა.

#### 14. ვალდებულების კლება

ვალდებულების კლების მუხლით, 2015 წელს გახარჯულია 2147,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 80,5 პროცენტია. 2015 წელს ამ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 905,3 ათასი ლარით მეტია, 2014 წლის საკასო ხარჯზე.

#### 15. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და პროგრამების მიხედვით (დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ჩათვლით), 2015 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო	4867.5	4800.1	67.4	98.6
საარჩევნო ადმინისტრაცია	582.5	573.6	8.9	98.5
აჭარის ა.რ. მთავრობა	43221.2	41081.4	2139.8	95.0
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	21572.0	18913.1	2658.9	87.7
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	37733.9	35755.7	1978.2	94.8
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9418.1	9385.1	33	99.6
აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო	6811.6	6735.8	75.8	98.9
უმაღლესი განათლება და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	2365.0	2358.6	6.4	99.7
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	57067.2	50428	6639.2	88.4
<b>ჯამი</b>	<b>183639.0</b>	<b>170031.4</b>	<b>13607.6</b>	<b>92.6</b>

ცხრილი N9. 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ათასი ლარი)

ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებების მიხედვით, 2015 წელს გადასახდელების საკასო ხარჯი, 2014 წელთან შედარებით გაზრდილი აქვს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას - 2198,9 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - 4876,2 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის

სამინისტროს - 3783,1 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 189,6 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - 798,4 ათასი ლარით და გაიზარდა ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების მოცულობა - 2560,8 ათასი ლარით. ამავე დროს შემცირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დაფინანსება - 65,7 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის დაფინანსება - 6,9 ათასი ლარით და უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება -432,4 ათასი ლარით.

საყურადღებოა, რომ 2015 წლის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 92,6%-ია, თუმცა ცალკეული პროგრამები და ქვეპროგრამები, ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

კოდი	პროგრამების დასახელება	2015 წლის გეგმა	ათვისება (%-ად )
040105	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	598,0	21,6%
050405	უცხოეთში სტაჟირების პროგრამა	12,2	54,1%
05111202	მხატვართა კავშირის მხარდაჭერა	11,7	30,8%
05120210	სპორტული ინვენტარის შეძენა	199,6	0%
090701	აჭარის წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემების რეაბილიტაცია	816,0	0%
090702	აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოება	798,7	60,7%

ცხრილი N10. რიგი ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომელსაც 2015 წლის შესრულების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სირთულეები ახასიათებდათ. აღნიშნული ხელს შეუწყობს მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას.




## 16. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

### ფაქტობრივი შესრულება


წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2015 წელს დაგეგმილი გადასახდელების საკასო შესრულებამ 165661,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 92,7% შეადგინა.

2015 წელს დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით (92,7%), **ჩამორჩენა** შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ისეთი სფეროების მიხედვით როგორცაა: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება-87,4% (გეგმა 54853,0 ათასი ლარი, ფაქტი 47.0 ათასი ლარი) და საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 75,1% (გეგმა 3034.6 ათასი ლარი, ფაქტი 2280,2 ათასი ლარი). დაფინანსების შედარებით **მაღალი დონით** გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორცაა: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 100,0% (გეგმა და ფაქტი 1959,5 ათასი ლარი), ეკონომიკური საქმიანობა - 95,0% (გეგმა 43772,7 ათასი ლარი, ფაქტი 41603,0 ათასი ლარი), გარემოს დაცვა - 99,2% (გეგმა 1206,0 ათასი ლარი, ფაქტი 1196,7 ათასი ლარი), ჯანმრთელობის დაცვა - 99,7% (გეგმა 8302,1 ათასი ლარი, ფაქტი 8273,3 ათასი ლარი), დასვენება, კულტურა და რელიგია - 94,5% (გეგმა 45597,0 ათასი ლარი, ფაქტი 43109,1 ათასი ლარი), სოციალური დაცვა - 99,7% (გეგმა 1108,4 ათასი ლარი, ფაქტი 1104,6 ათასი ლარი). განათლება - 96,1% (გეგმა 18914,0 ათასი ლარი, ფაქტი 18185,5 ათასი ლარი).



დიაგრამა 9. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა პროცენტულად

**ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის ფუნქციონალური სტრუქტურა**



დიაგრამა 10. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა პროცენტულად

**17. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები**

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნება 57067,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 50428,0 ათას ლარს შეადგენს, რაც 2015 წლის წლიური საბიუჯეტო გეგმის 88,4 პროცენტია. რესპუბლიკური გადასახდელების სახით დაფინანსებულია:

პროგრამების დასახელება	2015 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური დახმარება	31275,0	26380,3	4894,7	84,3%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	805,7	805,7	0	100%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა	20995,4	20995,4	0	100%
საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში	10,0	9,2	0,8	92,0%
სესხების მომსახურების ხარჯები	439,2	367,6	71,6	83,7%

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განხორციელებული პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები	1864,7	717,1	1147,6	38,5%
უცხოეთიდან მიღებული სესხის დაბრუნება	1149,8	1146,3	3,5	99,7%

ცხრილი N11. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

## 18. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაგეგმვისას არსებული ხარვეზები

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში შეინიშნება ხარვეზები როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების კუთხით.

### • საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური გადანაწილებები

მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი უწყებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს, საყურადღებოა, რომ მათ მიერ წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება მასშტაბურობით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ 2015 წელს განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის 187 ცვლილება, საერთო თანხით 8047,4 ათასი ლარი. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციების მიერ განხორციელდა 46 ცვლილება, საერთო თანხით 2976,7 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 44 ცვლილება, საერთო თანხით 2500,7 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 57 ცვლილება, საერთო თანხით 1926,4 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 22 ცვლილება, საერთო თანხით 32,0 ათასი ლარი.

რიგ შემთხვევებში, ადგილი აქვს ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, რაც პროგრამების ბიუჯეტის არასათანადო გაანგარიშებებზე მიუთითებს. მაგალითად:

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (0500) „სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამიდან (05120203) „ აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები“ ქვეპროგრამაზე (05120202), 2015 წლის 29 დეკემბრის N428 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით გადატანილი იქნა 17,7 ათასი ლარი. აღნიშნული გადანაწილების მიზეზად სახელდება სპორტსმენებზე და მწვრთნელებზე ჯილდოების გაცემა;*

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის (03 00) „ კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამიდან (03030103), „ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაზე (03030303), 2015 წლის 31 დეკემბრის N432 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით გადატანილი იქნა 2,5 ათასი ლარი. აღნიშნული გადანაწილების მიზეზად სახელდება რეგიონის ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან შემაჯამებელი შეხვედრის და ტურისტული ობიექტების დაჯილდოების ცერემონიის ხარჯების დაფინანსება.*

#### ● შრომის ანაზღაურება

2015 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ოდენობამ 35872,8 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად 404,1 ათასი ლარით შემცირდა და 35468,7 ათასი ლარის დონეზე დაფიქსირდა. 2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე

მიმართული იქნა 35134,5 ათასი ლარი, რაც რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების 26,5%-ს, ხოლო გადასახდელების 20,7%-ს შეადგენს. 2014 წელთან მიმართებაში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შრომის ანაზღაურება	2014 წ.	2015 წ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.
<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>35789,3</b>	<b>35134,5</b>	<b>-654,8</b>
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	25486,4	24912,3	-574,1
ხელფასები ფულადი ფორმით - წოდებრივი სარგო	0	0	0
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	9718,1	4892,5	-4825,6
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	920,4	4763,1	3847,7
ხელფასები ფულადი ფორმით - ჰონორარი	0	0	0
ხელფასები ფულადი ფორმით - კომპენსაცია	583,7	566,6	-17,1

ცხრილი 12. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შემადგენელი კომპონენტების დონეზე (ათასი ლარი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2014 წელთან შედარებით, ჯამურად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯული სახსრების მოცულობა 654,8 ათასი ლარით არის შემცირებული. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია პრემიის მუხლის შემცირებით, რომელიც 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით 4825,6 ათასი ლარით, შემცირდა. თუმცა დანამატის შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი 920,4 ათასი ლარიდან 4763,1 ათას ლარამდე გაიზარდა.

	2014 წლის მაჩვენებელი (1)	2015 წლის მაჩვენებელი (2)	ნომინალური სხვაობა (2)-(1)
<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>35789,3</b>	<b>35134,5</b>	<b>-654,8</b>
<i>მათ შორის:</i>			
<b>პრემია</b>	<b>9718,1</b>	<b>4892,5</b>	<b>-4825,6</b>
<b>დანამატი</b>	<b>920,4</b>	<b>4763,1</b>	<b>3842,7</b>
<b>პრემია + დანამატი</b>	<b>10638,5</b>	<b>9655,6</b>	<b>-982,9</b>

ცხრილი 13. შრომის ანაზღაურების კომპონენტების ანალიტიკური მაჩვენებლები (ათასი ლარი)

ზემოაღნიშნული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების ამოქმედებამ შეზღუდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე პრემიის სახით გაცემული თანხების ოდენობა, თუმცა ამავე დროს, აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა „დანამატის“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მხარჯავი დაწესებულებების

მხრიდან ადგილი ჰქონდა პრემიის დანამატით ჩანაცვლებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხი შემდგომ დარეგულირებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების მიხედვით<sup>2</sup>, „პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაბუთების საფუძველზე“. დადგენილების მიხედვით, დასაბუთებაში უნდა მიეთითოს „გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან და ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიის შესახებ“, თუმცა აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრული პრემიის გაცემის დასაბუთებაში მისათითებელი მონაცემები ნაკლებად ინფორმაციულია და არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ რა კონკრეტული გარემოებების<sup>3</sup> გათვალისწინებით შეიძლება იქნეს მიღებული დასაქმებული პირის წახალისების გადაწყვეტილება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარჯავი დაწესებულებების მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ანალიზისას გამოვლენილი იქნა სხვა ხარვეზები. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებად მხარჯავ დაწესებულებებში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

#### ● აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, 1500,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. თუმცა, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ფონდის წლიური გეგმა 2100,0 ათას ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება

<sup>2</sup> მუხლი 3, პუნქტი 1.

<sup>3</sup> პრემია - საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე გაცემული შრომითი გასამრჯელო, რომელიც გაიცემა მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

ათვისებას, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2094,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (ცვლილება) 99,7%-ს უტოლდება. სარეზერვო ფონდიდან თანხები ძირითადად ფიზიკურ პირებზე მატერიალური დახმარების და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი	401,6
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	83,1
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	247,1
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	557,3
მუნიციპალიტეტები	805,7
<b>ჯამი</b>	<b>2094,8</b>

ცხრილი N14 . სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების განაწილება (ათ. ლარი)

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან“ სახსრები გამოიყოფა რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად“ (მუხლი 90, პუნქტი 1). აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას იმ გადასახდელების დაფინანსებით, რომელთა გათვალისწინება ობიექტური გარემოებების გამო რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია, მაგალითად, სტიქიის შედეგების ან ცალკეული პირობითი ვალდებულებების დაფინანსება. თუმცა, რიგ შემთხვევებში ხდება სახსრების მიმართვა იმ გადასახდელების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში, სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა, მაგალითად:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 4 აგვისტოს N259 განკარგულებით, სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ახალი სცენის გახსნასთან

დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 5,8 ათასი ლარი. აღნიშნული ღონისძიება არ განეკუთვნება გაუთვალისწინებელ - მოულოდნელ მოვლენას და შესაბამისად შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული ყოფილიყო მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში;

- 2018 წლის მსოფლიო საქადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის საორგანიზაციო ხარჯების დასაფინანსებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 შემთხვევაში გამოიყო 75,0 ათასი ლარი. რამდენადაც გადაწყვეტილება, აღნიშნული ღონისძიების საქართველოში ჩატარების შესახებ, დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული სახსრები ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული ყოფილიყო მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში;

#### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, მხარჯავი დაწესებულებებისა და მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება გამახვილდეს დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამებზე, გამოვლენილი იქნეს ხელისშემშლელი გარემოებები, რომელთა სათანადო ანალიზი ხელს შეუწყობს მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას;
- მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნეს ქმედითი მექანიზმი საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხის დარეგულირების მიზნით;



- მნიშვნელოვანია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების დანერგვის მიმართულებაზე, რაც უზრუნველყოფს პრემიისა და დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას;
- აუცილებელია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მოხდეს წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.

## დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან და სხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში არსებით ასპექტებში შეესაბამება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებულ მაჩვენებლებს. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ ურთიერთთანამშრომლობა და შესაბამისად მოხსენებაში მოყვანილი რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს სახელმწიფო სახსრების ოპტიმალურ გამოყენებას და საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას.